

მე-2 კლასი

სავარჯიშო 1. ტექსტის გააზრება - ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს: (30 ქულა)

ჭიანჭველა და ფუტკარი

ჭიანჭველას ზურგზე მოეკიდებინა ოთხი თავისოდენა სიმძიმე, მიათრევდა და თან ამბობდა: ჩემოდენა ჯაფაში სულიერი არ არის, მაგრამ ქება კი არავისგან მესმისო; აი, უღონო და ბზულია ფუტკარი კი მართლ ყვავილებზე დაფრთხილებს, ჯაფა არც კი შეუძლია, მაგრამ ყველა იმის ქებაშიაო; მეტი უსამართლობა კიდევ იქნებაო? მფრინავმა ფუტკარმა გაიგონა და უთხრა: ეგ იმისათვის ხდება, რომ შენი ჯაფა არავისთვის არის გამოსაყენებელი, ჩემი შრომა კი მასიამოვნებელია ადამიანისათვის და ღვთისათვისაცაო.

- რა არის ნაწარმოების სათაური?
ა. ფუტკარი
ბ. ჭიანჭველა
გ. ჭიანჭველა და ფუტკარი
- რა ამბობს: „ ჩემოდენა ჯაფაში სულიერი არ არის.“
ა. ადამიანი
ბ. ჭიანჭველა
გ. ფუტკარი
- რა სურდა ჭიანჭველას?
ა. ვინმეს შეეყო
ბ. უშრომელად ეცხოვრა
გ. მხოლოდ თვითონ ეშრომა
- რამ გაიგონა ჭიანჭველას ლაპარაკი?
ა. ადამიანი
ბ. სხვა ჭიანჭველამ
გ. ფუტკარმა
- ნაწარმოების მიხედვით, რატომ აქებენ ადამიანები ფუტკარს?
ა. ფუტკარი ლამაზი მწერია.
ბ. ფუტკარი ფრენისას კარგ ხმას გამოსცემს.
გ. ფუტკარი შრომობს არა მხოლოდ თავისთვის, არამედ სხვებსაც ახარებს.
- რატომ არის ფუტკრის შრომა „ღვთისათვის მასიამოვნებელი“?
ა. ფუტკარი მაღლა-მაღლა დაფრინავს.
ბ. ფუტკარი სახლს ადამიანების სახლთან ახლოს აშენებს.
გ. ფუტკარი საშუალებას გვაძლევს, რომ სანთელი დავამზადოთ.
- რას უწოდებს ჭიანჭველა ფუტკარს?
ა. ბზულიას
ბ. უსამართლოს
გ. სამართლიანს
- ჭიანჭველას აზრით, ვინ არის უსამართლო?
ა. ყველა, ვინც მხოლოდ ფუტკარს აქებს.
ბ. ყველა, ვინც მხოლოდ ჭიანჭველას აქებს.
გ. ყველა, ვინც ადამიანებს აქებს.
- ნაწარმოების მიხედვით, ჭიანჭველა არის
ა. მშობარი
ბ. ბუზუნა
გ. ზარმაცი
- ტექსტის მიხედვით, ფუტკარი არ არის
ა. მშრომელი
ბ. ზარმაცი
გ. კეთილი

30. რომელ წინადადებაშია სწორად დასმული სასვენი ნიშანი?
 ა. ჭიანჭველას ზურგზე მოეკიდებინა ოთხი თავისოდენა სიმძიმე
 ბ. შენი ჯაფა არავისთვის არის გამოსაყენებელი
 გ. ჩემი შრომა მასიამოვნებელია ადამიანისათვის და ღვთისათვისაც.

სავარჯიშო 4. ზოგადი კითხვები - შემოხაზეთ სწორი პასუხი: (10 ქულა)

31. დაასრულეთ ანდაზა: „ბევრი რად უნდა დედასა ...“
 ა. ერთი სჯობს სახელოვანი. ბ. სამი სჯობს სახელოვანი. გ. არც კი სჯობს სახელოვანი.
32. დაასრულეთ ანდაზა: „გაჭირვება მიჩვენე და ...“
 ა. ფიფქი ცვივაო. ბ. გაქცევას გიჩვენებო. გ. შენი გაჭირვება მე გამიხარდებაო.
33. დაასრულეთ ანდაზა: „დედა ნახე, მამა ნახე, ...“
 ა. შვილი ისე გამონახე ბ. მამა ისე გამონახე გ. დედა ისე გამონახე
34. „არა სჭამს, მხოლოდ წყალსა სვამს,
 გულ-ხარბი ყოვლის მხრითაო;
 თუ ხელი ვინმემ მოჰკიდა,
 იტირებს ცრემლის ღვრითაო.“
 გამოცანის პასუხია:
 ა. ღრუბელი ბ. ქარი გ. მზე
35. „თავი უგავს სავსე მთვარეს,
 მარცვლები აქვს ერთობ ხშირი,
 დგას ამაყად და მთელი დღე
 მიუპყრია მზისკენ პირი.“
 გამოცანის პასუხია:
 ა. მთვარე ბ. მზესუმზირა გ. ბროწეული

ლიდერი კომპანიების შეკითხვები მომავალ ლიდერებს:

ბონუს დავალება - შემოხაზეთ სწორი პასუხი (10 ქულა)

1. “ლიბერთის” კითხვა:
 ბებო „ლიბერთი ბანკში“ წავიდა პენსიის ასაღებად.
 მოცემულთაგან რომელ სიტყვას დაესმის კითხვა „სად“?
 ა. ბებო ბ. „ლიბერთი ბანკში“ გ. წავიდა
2. “ბიუ-ბიუს” კითხვა
 რამდენი მარცვალია წინადადებაში?
 „დავითს ძალიან უყვარს „ბიუ-ბიუს“ ქათმის ხორცი.“
 ა. 15 ბ. 36 გ. 40

{ტესტის მაქსიმალური ქულაა 100. ბონუს დავალების ქულა ძირითადი დავალების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.}